



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო**



ოქმი:ლ87. 8722339001

თარიღი:05/12/2022

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**ბიუროს სხდომა**

**ოქმი №11**

ქ. ახმეტა, 30 ნოემბერი, 2022 წელი

სხდომის თავმჯდომარე: იოსები ქარუმაშვილი- ახმეტის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ: დ. ავაზაშვილი, გ. ქიბროწაშვილი, გ. ონიაშვილი  
გ. შაშიაშვილი, კ. მამულაშვილი, ბ. კაიშვილი,  
გ. მამუჩარაშვილი, შ. ტერტერაშვილი,  
რ. გახუაშვილი, ზ. ფიცხელაური  
მერის მოადგილე - ვანო ნასყიდაშვილი

სხდომა გაიხსნა 11<sup>00</sup> საათზე.

სხდომის თავმჯდომარე იოსები ქარუმაშვილიმა გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

**დღის წესრიგი:**

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ვანო ნასყიდაშვილი/

2. „ახმეტის მუნიციპალიტეტში მდებარე უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 ნოემბრის N44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ალბერტი ყაზარაშვილი/

3. ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატანის №2 საჯარო სკოლისთვის საქართველოს ეროვნული გმირის ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი -გიორგი მამუჩარაშვილი/

4. ფიზიკური პირის ნოდარ ყველაშვილის საკუთრებაში არსებული, სოფელ ქისტაურში მდებარე უძრავი ქონების ს/კ 50.10.36.373 შეძენის თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

5. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ქისტაურის რწმუნებულის ადმინისტრაციული შენობის ს/კ 50.10.36.031 პირველ სართულზე 32.0 კვ.მ სამუშაო ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით ფ/პ ნანა ახმეტელისთვის გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

6. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ქისტაურში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორიის ორი ერთეული მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

7. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (სოფლის ამბულატორიის) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

8. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ომალოში (თუშეთი) მდებარე 900 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, საკარმიდამო მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

9. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფელ წინუბანში მდებარე, ყოფილი კულტ. სახლის შენობაში არსებული 139.92 კვ.მ სამუშაო ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქირის საწყისი წლიური საფასურის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ კუდიანაშვილი/

10. ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულება ახმეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის“ და ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება - ახმეტის ზურაბ ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სასპორტო სკოლის“ რეორგანიზაციის (შერწყმის) თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

თინათინ შათირიშვილმა ითხოვა მე-10 საკითხის დღის წესრიგიდან ამოღება დაზუსტების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგს, წარმოდგენილი წინადადების გათვალისწინებით:

10 - მომხრე;

1 - არ მიიღო მონაწილეობა;

**მოისმინეს:** „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს დამსწრე წევრებს: დადგენილების მიზანია მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის #51 განკარგულების ასახვა და ადგილობრივ ბიუჯეტში გადასახდელის ნაწილში შიდა პარამეტრების ცვლილება.

**შემოსულობები:** შემოსულობების ნაწილი იზრდება 20.4 ათ. ლარით. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის #51 განკარგულების დაზუსტების შედეგად გაიზარდა სოფ. მატანში მეორე საჯარო სკოლის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი თანხა.

**საგასავლო ნაწილი:**

**ცვლილებები ადგილობრივ ბიუჯეტში**

ზრდა

1. ბაღების არაფინანსური + 69,0 ათ. ლარი (იზრდება აწყურის ბაღის მშენებლობის თანადაფინანსება 51,0 ათ. ლარით და კოლოთოს ბაღის რეაბილიტაციის თანადაფინანსება 25,0 ათ. ლარით. შემცირდა ქ. ახმეტაში #5 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია 7,0 ათ. ლარით)

2. ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება - საქონელი და მომსახურება +5,0 ათ. ლარი (ახალ წელთან დაკავშირებული ღონისძიებისთვის)
3. კომისარიატი - საქონელი და მომსახურება იზრდება 1,0 ათ. ლარით
  4. საკრებულო - საქონელი და მომსახურება იზრდება 3,0 ათ. ლარით
  5. შესყიდვები - საქონელი და მომსახურება იზრდება 0,5 ათ. ლარით
6. ა(ა)იპ კეთილმოწყობის სამსახური - კაპიტალური + 1,0 ათ. ლარი (გადმოტანილია სუბსიდიიდან, კომპიუტერის შესაძენად)
7. ა(ა)იპ ტყე-პარკების და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი - კაპიტალური + 1,3 ათ. ლარი (გადმოტანილია სუბსიდიიდან გაზიფიცირებისა და ელ. ენერჯის დაერთებისთვის)
8. ა(ა)იპ სოფლის წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა - სუბსიდია +5,0 ათ. ლარი (გადმოტანილია კაპიტალურიდან მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად)
9. ავადმყოფთა სოც. დაცვა +24,4 ათ. ლარი (გადმოტანილია სოციალურად დაუცველი მოსახლეობის პროგრამული კოდიდან)

**სულ ზრდა: 110,2 ათ. ლარი.**

**კლება**

1. დასუფთავების ღონისძიებები - არაფინანსური აქტივების ზრდა - 30,0 ათ. ლარი (ნაგვის ურნების შექმნიდან მორჩენილი ეკონომია)
2. წყლის სისტემების რეაბილიტაცია - არაფინანსური აქტივების ზრდა - 19,0 (ყვარელწყლის ჭაბურღილის მოწყობაზე გამოცხადებული ტენდერის ეკონომია -8,0 ათ. ლარი და არგოხის ჭაბურღილის მოწყობაზე გამოცხადებული ტენდერის ეკონომია -11,0 ათ. ლარი)
3. ნაპირსამაგრი - არაფინანსური აქტივების ზრდა - 2,0 ათ. ლარი (საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკ. შედგენაზე გამოცხადებული ტენდერის ეკონომია)
4. ა(ა)იპ კეთილმოწყობის სამსახური - სუბსიდია - 1,0 ათ. ლარი (გადატანილია კაპიტალურში)
5. ა(ა)იპ ტყე-პარკების და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი - სუბსიდია - 1,3 ათ. ლარი (გადატანილია კაპიტალურში)
6. ა(ა)იპ სოფლის წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა - არაფინანსური აქტივების ზრდა - 5,0 ათ. ლარი (გადატანილია სუბსიდიაში)
7. სპეც. ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა - არაფინანსური აქტივების ზრდა - 27,5 ათ. ლარი
8. სოც. დაუცველი მოსახლეობის დახმარება - 24,4 ათ. ლარი (გადატანილია ავადმყოფთა სოც. დაცვაში)

**სულ კლება: 110,2 ათ. ლარი**

ვ.ნასყიდაშვილმა უპასუხა კითხვებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

10 - მომხრე;

1 - არ მიიღო მონაწილეობა;

**მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტში მდებარე უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 ნოემბრის N44 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

მომხსენებელმა გააცნო საკითხი დამსწრე წევრებს:

„ახმეტის მუნიციპალიტეტში მდებარე უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 ნოემბრის N44 განკარგულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1.1 განკარგულების 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. განხორციელდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფლებში მდებარე სახელწოდების არმქონე ქუჩების სახელდება N1-100 დანართის სახით მოცემული სიტუაციური რუკების და დანართი N101-ით განსაზღვრული გეოგრაფიული ობიექტების შესაბამისად, არაბული ციფრების გამოყენებით.“

1.2. განკარგულების მე-5 მუხლი ამოღებულ იქნას.

2. განკარგულება მიღებიდან 10 დღის ვადაში გაეგზავნოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

10 - მომხრე;

1 - არ მიიღო მონაწილეობა;

**მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატნის №2 საჯარო სკოლისთვის საქართველოს ეროვნული გმირის ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;**

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბოუროს დამსწრე წევრებს: ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატნის №2

საჯარო სკოლის სამეურნეო საბჭოს მიეცეს თანხმობა, რომ აღნიშნულ საჯარო სკოლას ეწოდოს საქართველოს ეროვნული გმირის ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

**მოისმინეს: ფიზიკური პირის ნოდარ ყველაშვილის საკუთრებაში არსებული, სოფელ ქისტაურში მდებარე უძრავი ქონების ს/კ 50.10.36.373 შეძენის თაობაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;**

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს დამსწრე წევრებს: მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს ახმეტის მუნიციპალიტეტის სახელით 44000 (ორმოცდაოთხათასი) ლარად ფ/პ ნოდარ ყველაშვილის შეისყიდოს საკუთრებაში არსებული, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქისტაურში მდებარე შენობა ნაგებობა და მასზე დამაგრებული 762 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების 50.10.36.373 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

10 - მომხრე;

1 - არ მიიღო მონაწილეობა;

**მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ქისტაურის რწმუნებულის ადმინისტრაციული შენობის ს/კ 50.10.36.031 პირველ სართულზე 32.0 კვ.მ სამუშაო ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით ფ/პ ნანა ახმეტელისთვის (პ/ნ 01027029855) გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ;**

მომხსენებელმა გააცნო საკითხი დამსწრე წევრებს: მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას - განახორციელოს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ქისტაურის რწმუნებულის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე 32.0 კვ.მ სამუშაო ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით ფ/პ ნანა ახმეტელისთვის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გადაცემა ფანდურის წრის ფუნქციონირების მიზნით.

ა) სარგებლობის უფლებით გადაცემის წლიური ქირის საფასურია - 352 ლარი;

ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა - 5 წელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

10 - მომხრე;

1 - არ მიიღო მონაწილეობა;

**მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ქისტაურში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორიის ორი ერთეული მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემის ქირის საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ;**

მომხსენებელმა განმარტა საკითხი: განისაზღვროს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ქისტაურში მდებარე ორი ერთეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სახნავი კატეგორიის მიწის ნაკვეთის ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით განკარგვის წლიური ქირის საწყისი საფასური:

ა) სოფელ ქისტაურში მდებარე 7514კვ.მ სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) მიწის ნაკვეთის ს/კ 50.10.35.217 წლიური ქირის საწყისი საფასური - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ით 511.00 (ხუთასთერთმეტი) ლარის ოდენობით;

- სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 10 (ათი) წელი.

ბ) სოფელ ქისტაურში მდებარე 3767კვ.მ სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) მიწის ნაკვეთის ს/კ 50.10.35.236 წლიური ქირის საწყისი საფასური - საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ით 256.00 (ორასორმოცდათექვსმეტი) ლარის ოდენობით;

- სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 10 (ათი) წელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

10 - მომხრე;

1 - არ მიიღო მონაწილეობა;

**მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (სოფლის ამბულატორიის) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ;**

მომხსენებელმა განმარტა საკითხი: „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განხორციელდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების -სოფელ მალრაანში მდებარე ამბულატორიის შენობისა და მასზე დამაგრებული 477კვ.მ არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის - (საკადასტრო კოდი 50.09.32.365) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას

10 - მომხრე;

1 - არ მიიღო მონაწილეობა;

**მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ომალოში (თუშეთი) მდებარე 900 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, საკარმიდამო მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ;**

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს წევრებს:

განხორციელდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ომალოში (თუშეთი) მდებარე 900 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, საკარმიდამო მიწის ნაკვეთის - საკადასტრო კოდი 50.26.33.661 სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

**მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფელ წინუბანში მდებარე, ყოფილი კულტ. სახლის შენობაში არსებული 139.92კვ.მ სამუშაო ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქირის საწყისი წლიური საფასურის დამტკიცების შესახებ;**

მომხსენებელმა განმარტა საკითხი: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული სოფელ წინუბანში მდებარე, ყოფილი კულტ. სახლის შენობაში ს/კ 50.06.36.147 არსებული 139.92კვ.მ სამუშაო ფართის ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ.

ა) წლიური ქირის საწყისი საფასური, საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%-ით-750.0 (შვიდასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 5(ხუთი) წელი.

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რევაზ გაბუაშვილმა საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საკითხის შესწავლის დროს გამოიკვეთა წინააღმდეგობა და აზრთა სხვადასხვაობა მოსახლეობის მხრიდან. მიმართა, რომ პროექტი შესწავლის მიზნით უნდა ამოვიღოთ დღის წესრიგიდან.

ბიურომ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება საკითხის დღის წესრიგიდან ამოღების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგს ბიუროს გადაწყვეტილების შესაბამისად, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

ბიუროს სხდომა დაიხურა 12<sup>30</sup> საათზე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიცირი ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

